



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გეოლოგიის ინსტიტუტი



TSU Aleksandre Janelidze
Institute of Geology

გეოლოგიის ინსტიტუტი ა. ჯანელიძის სახელობისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. დაარსდა თბილისში 1925 საქართვე. განათლების სახ. კომისარიატთან. ინ-ტი ამ პროფილის პირველი სამეცნ. დაწესებულებაა, რ-იც დაარსდა ყოფ. სსრკ-ში. 1933 გადაეცა თსუ-ს, 1941-იდან 2006-მდე საქართვე. მეცნ. აკად. სისტემაში გადავიდა. 1976 მიენიჭა ა. ჯანელიძის სახელი.

გეოლოგიის ინსტიტუტი ა.
ჯანელიძის სახელობისა

ინ-ტში მონოგრაფიულად არის შესწავლილი გვიანდ. პალეოზოოლოგიური, მეზოზოოლოგიური და კაინოზოოლოგიური ფაუნისა და ფლორის ძირითადი ჯგუფები, მათი შემცველი ნალექების სტრატეგრაფიისა და ლითოლოგიის საკითხები,

შემუშავებულია ამ ნალექების სტრატეგრაფიული სქემები, ჩატარებულია რეგიონული კვლევა ტექტონიკის ფუნდამენტურ და პრაქტ. საკითხებზე; მნიშვნელოვანი კვლევა ტარდებოდა პეტროლოგიაში და ვულკანოლოგიაში; დადგენილია კრისტ. სუბსტრატის ქანების ნაწილის აბსოლ. ასაკი. შესწავლილია ზოგიერთი წიაღისეულის მეტალოგენიზის, მთელი რიგი ქიმიკ. ელემენტის გეოქიმიის, მინერალთა ზოგიერთი ჯგუფის რეგიონული მინერალოგიის საკითხები. ინ-ტში მიმდინარეობდა გამოყენებითი ხასიათის სამუშაოებიც: რესპ. მნიშვნელოვანი მშენებლობების ტერიტ. გეოლ. გამოკვლევა, ქალაქების სეისმოტექტონიკური პირობების დადგენა, მინერ. რესურსების შესწავლა; სხვა დაწესებულებებთან ერთად ინ-ტი მონაწილეობდა მინისძვრის პროგნოზის პრობლემის კვლევაში. ინ-ტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საერთაშ. გეოლ. კონგრესის XVII, XX - XXIX სესიების მუშაობაში. ინ-ტში მოღვაწეობდნენ ა. ჯანელიძე, ა. თვალჭრელიძე, კ.

გაბუნია, ი. კაჭარავა, ი. კახაძე, ს. ჩიხელიძე, პ. გამყრელიძე, ა. ცაგარელი, გ. თვალჭრელიძე, მ. რუბინშტეინი.

ინსტიტუტს ჰქონდა პერიოდული გამოცემები: „საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის მოამბე“ (1932-40, ტ. 1-5); „გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები“ (გეოლ. სერია, 1942-65, ტ. 1-14; მინერალოგია-პეტროგრაფიული სერია, 1948-61, ტ. 1-6). 1965-იდან გამოდის „შრომების“ ახ. სერია.

ამჟამად კვლევები მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით: საქართველოს მეზობლური და კაინობლური ნალექების სტრატეგრაფია, საქართველოსა და მომიჯნავე რეგიონების გეოლოგიური და გეოდინამიკური ევოლუცია, ტექტონიკური სტრუქტურების და მათი წარმოშობის მექანიზმის კვლევა, დედამიწის ქერქის უახლესი მოძრაობების ხასიათისა და სიჩქარის დადგენა, სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიური შესწავლა და საქართველოს შავი ზღვის აკვატორიის გეოლოგიური, გეოქიმიური და ჰიდროქიმიური კვლევა.

2017-იდან გეოლოგიის ინ-ტში ჩამოყალიბდა უახლესი აპარატურით აღჭურვილი გეოლოგიური კვლევის კომპლექსური ლაბორატორია.

გარდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა ინ-ტის თანამშრომლები მონაწილეობენ ისეთ მასშტაბურ სახელმწიფო პროექტებში, როგორცაა: ტრანსკავკასიური რკინიგზის, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შახ-დენიზის გამსადენის ტრასების, ჰესების გეოლოგიური და სეისმოტექტონიკური პირობების და სხვ.

ინ-ტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, მათ მიერ მოპოვებული მრავალი საერთაშორისო და ეროვნული სამეცნ. გრანტი, მიღებული აქვთ სახელმწიფო და სახელობითი პრემიები და ჯილდოები, ეწევიან პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ინ-ტში არის უძველესი და მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა. 1932-იდან გამოსცემს პერიოდულ ნაბეჭდ სტატიებს. ინ-ტის თანამშრომელთა მიერ შექმნილია უნიკალური პალეონტოლოგიური მონოგრაფიული მუზეუმი.

ლიტ.: გამყრელიძე პ., ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიური ინსტიტუტი, თბ., 1976.

ვ. ზესაშვილი

თ. ნუნუნავა
